ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

N 6 ოქმი

13.04.2022

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი

თვითმმართველობის შენობა

რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბატონი მამუკა რიჟამაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაგდა კოსტავა, მანანა ჩიხლაძე, მერაბ ჭოხონელიძე, ელეონორა არჩაია, გაგა მანაგაძე, დარეჯან ფხაკაძე, ქეთევან ხურციძე, გრიგოლ შუშანია.

სოციალური მომსახურეობის სააგენტოს იმერეთის სამხარეო ცენტრის უფროსი ქალბატონი ნინო ჭიღლაძე

ააიპ სპოტრულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელი ბატონი კობა ფხაკაძე

სხდომა გახსნა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა მამუკა რიჟამაძემ: მოგესალმებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული გვაქვს ორი საკითხი:

1. ინფორმაციის მოსმენა სოციალური მომსახურეობის სააგენტოს იმერეთის სამხარეო ცენტრის, მიმდინარე პროგრამების შესახებ.
2. ააიპ სპოტრულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელის კობა ფხაკაძის ანგარიში სპორტულ სკოლებში არსებული სამედიცინო ოთახების

მდგომარეობის, სამედიცინო ინვენტარის და შეძენილი მედიკამენტების შესახებ.

დღის წესრიგთან დაკავშირებით თუ არ გაქვთ შენიშვნები, გთხოვთ, ვუყაროთ კენჭი დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხს წარმოგვიდგენს ქალბატონი ნინო ჭიღლაძე.

ნინო ჭიღლაძე: მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ინფორმაცია სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ადმინიტრირებადი პროგრამების შესახებ

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო მუშაობს ორი მიმართულებით: სოციალური პროგრამები და სახელმწიფო გასაცემლები.

სოციალური პროგრამებიდან მუშაობა მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებით:

1. **ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა)**

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს "სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N758 დადგენილების შესაბამისად ოჯახების შეფასებას და სარეიტინგო ქულების მიხედვით სხვადასხვა გასაცემელის გაცემას. მოქმედი მეთოდოლოგიით შეფასებულ (შესწავლილ) ოჯახებზე გათვალისწინებულია საარსებო შემწეობის შემდეგი ოდენობები:

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30 001-ზე ნაკლებია - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 120 001-ზენაკლებია:

120 001-ზე ნაკლები ქულის მქონე ოჯახი, ყოველ 16 წლამდე ასაკის წევრზე მიიღებს 100 ლარის ოდენობის შემწეობას (2022 წლის ივნისიდან 150 ლარი).

ქუთაისის მოსახლეობიდან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულია 7 548 ოჯახი (21 895 პირი). აქედან საარსებო შემწეობის მიმღებია 3 289 ოჯახი (10 221 პირი). 16 წლამდე ბავშვი 3 780.

2. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა.**

ამ პროგრამის ბენეფიციარია ბავშვი (ტყუპით მშობიარობის შემთხვევაში - ბავშვები), რომლის ბიოლოგიური დედა/ოჯახი ფაქტობრივად ცხოვრობს საქართველოს იმ რეგიონში, სადაც ბავშვის (ბავშვების) დაბადების წლის წინა მე-2 ან მე-3 წელში წლიური ბუნებრივი მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი (ამ მაჩვენებელს განსაზღვრავს სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) არ ფიქსირდება ან ეს მაჩვენებელი არ აღემატება 200-ს და ამ ბავშვის (ტყუპით მშობიარობის შემთხვევაში - ერთ-ერთი ტყუპისცალი) დაბადების დღის მდგომარეობით, იგი არის მისი ბიოლოგიური დედის რიგით მესამე ან შემდეგი ცოცხლადშობილი შვილი.

დადგენილებით განსაზღვრული პირობების გარდა, ბავშვი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, ხოლო მშობელი საქართველოს მოქალაქე / საქართველოში მუდმივი ბინადრობის მქონე.

2021 წელს აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია გურიის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის და შიდა ქართლის რეგიონები (მიმდინარე წლის მონაცემებით, 2022 წელს პროგრამაში ახალი რეგიონის ჩართვა გათვალისწინებული არ არის).
ფულადი დახმარება ინიშნება სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში, განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის სააგენტოში წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან (ბავშვის 2 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით) და შეადგენს: მაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის - 200 ლარს, ხოლო სხვა დასახლებაში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის - 150 ლარს.

ქუთაისის ტერიტორიაზე მიმღებია 776 ბავშვი.

3. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის.**

პროგრამის ბენეფიციარია 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებული ბავშვი (საქართველოს მოქალაქე), რომლის ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი (მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი).
ფულადი დახმარება ინიშნება სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში, განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან (ბავშვის შესაბამისი ასაკის შერულების თვის ჩათვლით) და განისაზღვრება:
ა) 100 ლარის ოდენობით, ერთი წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი ოჯახის პირველი ან მეორე შვილია;
ბ) 200 ლარის ოდენობით, 2 წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი ოჯახის მე-3 ან მომდევნო შვილია;
გ) მეორე და მესამე ტყუპის შემთხვევაში ერთ-ერთ ტყუპისცალს 100 ლარის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში, ხოლო მეორეს - 200 ლარის ოდენობით 2 წლის განმავლობაში.

სახელმწიფო გასაცემლებზე მუშაობა მიმდინარეობს სხვადსხვა მიმართულებით, რომელთაგანაც გამოვყოფ რამოდენიმეს.

1. **სახელმწიფო პენსია**

საქართველოს მოქალაქე მამაკაცმა - 65 წლის და ქალბატონმა - 60 წლის შესრულების შემდეგ, ასაკის საფუძვლით სახელმწიფო პენსიის დასანიშნად შეუძლია მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ორგანოს, მიუხედავად რეგისტრაციის ადგილისა.

ასაკით პენსიონერისათვის სახელმწიფო პენსიის ფულადი ოდენობა განისაზღვრება 260 ლარით. 2022 წლის 1 იანვრიდან 70 წლის ზემოთ პენსიონერებს პენსია გაეზარდათ 25 ლარით და შეადგენს 300 ლარს.
ქუთაისის ტერიტორიაზე სახელმწიფო პენსია გაიცემა 36 160 ადამიანზე. აქედან 70 წლის და მეტის არის 18 174 პირი.

2. **სოციალური პაკეტი**

- სოციალური პაკეტი მარჩენალდაკარგულებისათვის
- სოციალური პაკეტი პოლიტრეპრესირებულებისათვის
- სოციალური პაკეტი სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებთათვის
- სოციალური პაკეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი-275 ლარი-1 671 პირი
ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი-140 ლარი-3 900 პირი
მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი-70/100 ლარი-353 პირი.
18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი-275 ლარი-690 ბავშვი

3. სახელმწიფო კომპენსაცია
4. საყოფაცხოვრებო სუბსიდია
5. ორსულობის მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზრაურება.

სახელმწიფო გასაცემლების მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებთან დაკავშირებით, რაც იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო პენსიის/გასაცემლის დანიშვნისას მათ აღარ მოეთხოვებათ ცნობა მეორე ქვეყნიდან, რომ არ არიან იმ ქვეყანაში პენსიის მიმღებნი.
მამუკა რიჟამაძე: სულ რამდენი ოჯახია სოციალურად დაუცველი?
ნინო ჭიღლაძე: 7548 ოჯახი, აქედან შემწეობას იღებს 3289.

კომისიამ ერთხმად მოიწონა წარმოდგენილი საკითხი და ცნობათ მიიღო.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხს წარმოგვიდგენს ბატონი კობა ფხაკაძე.
კობა ფხაკაძე: მოგესალმებით, ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ძირითად მიზანს სპორტის განვითარების ხელშეწყობა და მოზარდ თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა /დამკვიდრება/ წარმოადგენს. გაერთიანება უზრუნველყოფს ფილიალების მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვას, სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას, საოფისე და კომუნალური ხარჯების გადახდას, სასწავლო-საწვრთნო პროცესის კონტროლს, სპორტმენთა წვრთნისა და სოციალური პირობების /კვება, სასწავლო/საწვრთნელი შეკრებების ორგანიზებას. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხორციელებას: მათ შორის, მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებების ,,ახალგაზრდული დღეების" თამაშობების ორგანიზების მიზნით, საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვასა და განხორციელების ხელშეწყობას; ახალგაზრდული ბანაკების მოწყობას; კულტურის დარგის მოღვაწე ახალგაზრდებთან, ახალგაზრდების შემოქმედთა ჯგუფებთან ურთიერთობას, მათი საქმიანობის ხელშეწყობას;"

გაერთიანება მოიცავს 16 (თექვსმეტი) ფილიალს სადაც, ფუნქციონირებს 41 სპორტის სახეობა.

გაერთიანებაში სწავლება არის უფასო

ფილიალებში 2022 წელს მოსწავლეთა რაოდენობა 4086 შეადგენს.

ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების სტრუქტურა და მართვა

გაერთიანებას ხელმძღვანელობს მმართველი. მმართველს თანამეგობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

გაერთიანების სტრუქტურა მოიცავს გაერთიანების ადმინისტრაციას, ბუღალტრული აღრიცხვისა და სახელმწიფო შესყიდვების განყოფილებას, კადრებისა და საქმისწარმოების განყოფილებას, მონიტორინგის განყოფილებას, საქალაქო ღონისძიებების მართვის განყოფილებას, ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებასა და შრომის უსაფრთხოებისა და მატერიალურ-ტექნიკური განყოფილებას.

გაერთიანება შედგება ფილიალებისაგან:

სულიკო თორთლაძის სახელობის №11 სპორტთამაშების კომპლექსური სპორტული სკოლა; ომარ ფხაკაძის სახელობის №12 კომპლექსური სპორტული სკოლა; ლევან კირკიტაძის სახელობის ფარიკაობის №15 კომპლექსური სპორტული სკოლა; მაია ჩიბურდანიძის სახელობის №16 ჭადრაკის სპორტული სკოლა; დავით ხახალეიშვილის სახელობის ჭიდაობის№17 კომპლექსური სპორტული სკოლა; აკაკი კაკაურიძის სახელობის №18 კრივის სპორტული სკოლა; რობერტ შავლაყაძის სახელობის №19 მძლეოსნობის სპორტული სკოლა; მარიამ ყუფარაძის №20 ტანვარჯიშის სპორტული სკოლა; კონსტანტინე ლიპარტელიანის სახელობის №21 ნიჩბოსნობის სპორტული სკოლა; №22 რაგბის სპორტული სკოლა ,,აია"; №94 ფეხბურთის სპორტული სკოლა; საცხენოსნო სპორტული კლუბი ,,იმედი"; ყინულის მოედანი; ქ.ქუთაისის მ. ქორქიასა და ზ. საკანდელიძის სპორტის სასახლე; ქუთაისის ტაეკვანდოს სპორტული კლუბი; ,,რაგბისა და ფეხბურთის მოედნების კომპლექსი

ფილიალის დირექტორს ქალაქ ქუთაისის მერთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გაერთიანების მმართველი. გაერთიანებასთან ფუნქციონირებს სათათბირო ორგანო – საბჭო,

რომელიც შედგება ფილიალების დირექტორებისაგან. საბჭოს ქმნის მმართველი.

გაერთიანებაში სულ დასაქმებული 547 თანამშრომელი , მათ შორის **17** მედდა, **3** ექიმი, **1** მასაჟისტი, **1**ექიმ-მასაჟისტი. ისინი დასაქმებული არიან შემდეგ ფილიალებში

N	ფ ილიალი	თანამდებობა	რაოდენობა
1	N11	მედდა	2
2	N12	მედდა	4
3	N12	ექიმი	1
4	N15	მედდა	1
5	N16	მედდა	1
6	N17	მედდა	3
7	N17	მასაჟისტი	1
8	N18	ექიმი	1
9	N18	მედდა	1
10	N19	მედდა	1
11	N20	მედდა	1
12	N21	მედდა	1
13	N22	ექიმ-მასაჟისტი	1
14	N94	მედდა	1
15	ყონულის მოედანი	მედდა	2
16	სპორტის სასახლე	ექიმი	1

ანგარიში ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მიერ მედიკამენტების შესყიდვასთან დაკავშირებით

ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისთვის, მედიკამენტების შესყიდვასთან დაკავშირებით მოგახსენებთ რომ, სახელმწიფო შესყიდვების

სააგენტოს მიერ გამოცხადებული იქნა კონსოლიდირებული ტენდერი, რომლის ფარგლებშიც შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებული არიან შეიძინონ მედიკამენტები ამ ტენდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. გაერთიანებამ მედიკამენტების შესყიდვის მიზნით მიმართა კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს, რომელთაც უარი განაცხადეს გაერთიანებასთან ხელშეკრულების გაფორმებაზე.

ა(ა)იპ. ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ფილიალების მიერ მოთხოვნილი მედიკამენტების ჩამონათვალში არის ისეთი წამლები რომელიც არ არის კონსოლიდირებული ტენდერით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვაში. აღიშნულის და ასევე ყველა საჭირო მედიკამენტის შეძენის მიზნით მივმართეთ სატენდერო კომისიას, გამარტივებული შესყიდვით მედიკამენტების შეძენის თაობაზე. უახლოეს მომავალში გაერთიანების მიერ იქნება შესყიდული ყველა საჭირო მედიკამენტი.

სტორტსმენების სამივლინებო თანხა არის 30 ლარია, რაც ვფიქრობ, რომ ძალიან მცირეა დღევანდელ ჩვენს რეალობაში.

კომისიამ მართებულად მიიჩნია, გასცეს რეკომენდაცია დროულად მოხდეს ააიპ სპოტრულ დაწესებულებათა გაერთიანებისთვის საჭირო მედიკამენტების მიწოდება და სამივლინებო ხარჯების გადახედვა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ სხდომა დაასრულა.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
მამუკა რიჟამაძე